საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 23

11 01 2017 წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტისა და პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ"
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 06 იანვრის №11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2017 წლის 04 იანვრის №05 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის" დანართის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 - ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე - 5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.„პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტისა და პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2017

წლის 06 იანვრის №11 ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და 1.16 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.16. კონკურსის შედეგად პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1320 ლარის ოდენობით.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი — თამარ მახარაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
PUBLIC LAW LEGAL ENTITY OF NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
202330566